საქმე №2/15031-13

1150076670151

www.info.court.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

11.04.2014წ. ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლო

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ასმათ კოხრეიძე

სხდომის მდივანი ნინო მეტრეველი

I სარჩელი:

მოსარჩელე:	ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"
წარმომადგენელი:	ნინო გუჯარაიძე;
	ირმა მახათაძე.
მოპასუხე:	საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე
	ილია ელოშვილი
წარმომადგენელი:	ირაკლი თავართქილაძე
დავის საგანი:	პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი
	ინფორმაციის უარყოფა;
	მორალური ზიანის ანაზღაურება.

II სარჩელი:

მოსარჩელე:	ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"
წარმომადგენელი:	ნინო გუჯარაიძე
	ირმა მახათაძე

მოპასუხე: საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი
კახა კალაძე

წარმომადგენელი: ირაკლი თავართქილაძე

დავის საგანი: პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა;
მორალური ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

I სარჩელი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილისათვის, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივის" პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის ("მწვანე ალტერნატივა" არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთვნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია") უარყოფის დავალება, ინტერვიუს მიცემის გზით, იმავე საინფორმაციო საშუალების _ რადიო "კომერსანტის" მეშვეობით;

1.2. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილისათვის, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივის" სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება 1 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით.

II სარჩელი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძისათვის, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივის" პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის ("მწვანე ალტერნატივა" რადიკალური ჯგუფია, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ისინი ფულს იღებენ იმაში, რომ ქვეყანაში არაფერი გაკეთდეს. დასკვნები თქვენ გამოიტანეთ, რას გადაწყვეტენ") უარყოფის დავალება, იმავე საინფორმაციო საშუალებების _ TV3-ის გადაცემის "24 საათის", ინტერნეტ მედია საშუალება _ news.ge-ს მეშვეობით;

1.2. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძისათვის, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივის" სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება 1 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით.

მოსარჩელის განმრტებით, მოპასუხეებმა, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით ინტერვიუს მიცემისას, მიზანმიმართულად გაავრცელეს მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაცია, რის გამოც მას მიადგა ზიანი.

2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხეებმა _ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილმა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ წარმოდგენილი შესაგებლებით და სასამართლო სხდომაზე, სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებებით, სარჩელი არ ცნეს, მიიჩნიეს ის უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, რის გამოც მოითხოვეს მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივისათვის" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოპასუხეების განმარტებით, მათ მიერ მიცემული ინტერვიუების სადავოდ გამხდარი ტექსტი არ შეიცავს მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური, მცდარი ინფორმაციის შემცველ და მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ასპექტებს, არამედ იგი წარმოადგენს მოსარჩელის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე ადექვატურ პასუხს, კერძოდ, მოსარჩელე მუდამ ეწინააღმდეგება საქართველოში იმ დიდი ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას, რაც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინაპირობას. მოსარჩელე ასოციაცია თავისი დაუსაბუთებელი განცხადებებით აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მნიშვნელოვან წამოწყებებს და ცდილობს ხელი შეუშალოს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას, მათ შორის _ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. მოსარჩელე ასოციაცია მოპასუხეებს, ხშირად (მასმედიის თუ ქუჩის საპროტესტო აქციებით) ადანაშაულებს ინვესტორი კომპანიის ინტერესების ლობირებაში, მოსახლეობის ზეწოლაში და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობაში.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

საქმეში უდავო ფაქტობრივი გარემოებები არ არსებობს.

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. მოსარჩელე ა(ა)იპ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" დაარსდა 2000 წელს. მოსარჩელის ოფიციალურად გაცხადებული მიზანია ეკონომიკურად ხელსაყრელი და

სოციალურად მისაღები ალტერნატივების გზით, საქართველოს გარემოსა და ქვეყნის უნიკალური ბიოლოგიური თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა (იხ. ამონაბეჭდი ვებგვერდიდან, ტ. 1, ს.ფ. 23-24);

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ასოციაციის სამუშაო არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამჟამად იგი მუშაობს ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის, ხეტყის არალეგალური ჭრის, ველური ფლორისა და ფაუნის ნიმუშებით უკანონო ვაჭრობის აღკვეთის მიმართულებით და სხვ. (იხ. იქვე);

3.2.2. მოსარჩელე ასოციაცია ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა და ამჟამადაც ეწინააღმდეგება ქვეყანაში დიდი და გიგანტური ჰესების მშენებლობას (იხ. მოსარჩელის ახსნა-განმარტება, 11.03.2014 წლის სასამართლო სხდომის ოქმი, ტ. 1, ს.ფ. 107-110);

3.2.3. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მოპასუხეები მიიჩნევენ, რომ დიდი ჰესების მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია (იხ. სადავო ინტერვიუები, ტ. 1, ს.ფ. 25-26; ტ. 2, ს.ფ. 24-27; დისკი, ს.ფ. 33);

3.2.4. ბოლო პერიოდში, მოსარჩელისა და მოპასუხეების პოზიციები უკიდურესად დაუპირისპირდა ერთმანეთს "ხუდონის" ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით:

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ამ უწყების პირველი პირები _ მოპასუხეები მიიჩნევენ, რომ ეს პროექტი სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესია. მათი განმარტებით, ქვეყანა, ამ პროექტის განხორციელებით, ზამთრის პერიოდში დამატებით 450 მილიონ კვტ/საათს მიიღებს. ეს არის მთელი იმპორტის 15 პროცენტიდან 20 პროცენტამდე. ეს დაუზოგავს სახელმწიფოს იმ ფასს, რომელსაც დღეს ქვეყანა რუსეთს უხდის _ ყოველ წელიწადს "50 მილიონს", საიდანაც "20 მილიონს", ყოველ წელიწადს, ინვესტორი სვანეთს დაუტოვებს; ის გადაიხდის გადასახადებს, გავა ექსპორტზე თურქეთში და ა.შ.

მოსარჩელე ასოციაცია მიიჩნევს, რომ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი თავისი მასშტაბით და სპეციფიკით, მოიცავს ადამიანის უფლებათა დარღვევის საფრთხეებს, რისი დასტურიც, მისი აზრით, არის პროექტის გარშემო წლების განმავლობაში ჩაუმცხრალი დისკუსია და საზოგადოებრივი პროტესტი. პროექტის რისკების არასათანადოდ შეფასებაზე მეტყველებს საქართველოს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცის სამინისტროს მიერ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე გაკეთებული 100 შენიშვნა. მოსარჩელე უთითებს, რომ იმ დროს, როდესაც მშენებელ კომპანიას ჯერ კიდევ არ მიუღია ნებართვა კომპეტენტური ორგანოებისგან, მოპასუხეები აცხადებენ, რომ ხუდონჰესი აუცილებლად აშენდება. მოსარჩელე "მწვანე ალტერნატივას" (ასევე, სხვა 53 არასამთავრობო ორგანიზაციას) მიაჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხე პირები არ წარმოადგენენ პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მათი მხრიდან ასეთი განცხადება წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი პროცედურების სრულ უგულვებელყოფას და ზეწოლას კომპეტენტურ ორგანოებსა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაზე (იხ. მხარეთა ახსნა-განმარტებები, ტ. 1, ს.ფ. 134-143);

3.2.5. მოსარჩელე ასოციაცია (სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად) თავის მოსაზრებებს, მოპასუხეების მხრიდან ინვესტორი კომპანიის ინტერესების ლობირების, მოსახლეობის ზეწოლის და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობების შესახებ ავრცელებდა მასმედიის საშუალებებში გამოქვეყნებული არაერთი სტატიით, მათი მონაწილეობით ჩატარებულ ქუჩის საპროტესტო აქციებით, მათ შორის აქციით _ "არა ხუდონჰესს და სხვა დიდ ჰესებს" (იხ. იქვე);

3.2.6. მოპასუხეები აფასებენ რა მოსარჩელე ასოციაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს, დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ მის გამოსვლებს, მიიჩნევენ, რომ მოსარჩელე ასოციაცია ახორციელებს აშკარად რადიკალურ და უარყოფით კამპანიას, რაც სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტების (ხუდონჰესი, აჭარისწყალის კასკადი, ჭოროხის კასკადი, დარიალი, ყაზბეგი, ფარავანი და სხვ.) განხორციელების ხელისშეშლაში გამოიხატება (იხ. იქვე);

3.2.7. 2013 წლის 19 სექტემბერს 14:05:15 საათზე, რადიო "კომერსანტისათვის" მიცემულ ინტერვიუში, მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილმა აღნიშნა, რომ "მწვანე ალტერნატივა" არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთვნება, ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია" (იხ. ინტერვიუ, ტ. 1, ს.ფ. 25-26);

2013 წლის 11 ნოემბერს, მინისტრმა კახა კალაძემ, სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერიაში" გამართული ერთი წლის მუშაობის შედეგების პრეზენტაციის შემდეგ, ტელეკომპანია TV3-ის, გაზეთ "24 საათის" და ინტერნეტ მედია საშუალება _ news.ge-ს ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: "მწვანე ალტერნატივა" რადიკალური ჯგუფია, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ისინი ფულს იღებენ იმაში, რომ ქვეყანაში არაფერი გაკეთდეს. დასკვნები თქვენ გამოიტანეთ, რას

წარმოადგენენ" (იხ. ინტერვიუ, ტ. 2 ს.ფ. 24-27; დისკი, ს.ფ. 33)

აღნიშნული გამონათქვამები (წინადადებები) მოსარჩელემ გახადა სადავოდ (იხ. სარჩელები);

3.2.8. სადავო გამონათქვამები (წინადადებები) არის შემადგენელი ნაწილი მოპასუხეების იმ ინტერვიუებიდან, რომლებშიც ისინი მიზნად ისახავდნენ საზოგადოებისათვის ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით სახელმწიფოებრივი ხედვის მიწოდებას, ამ პროექტის განხორციელების მნიშვნელობის დასაბუთებას. მოპასუხეების მიერ, ინტერვიუებში, "მწვანე ალტერნატივის" საქმიანობის შესახებ თავიანთი უარყოფითი შეხედულების აღნიშვნა, წარმოადგენდა მათ პასუხს, ჟურნალისტების მხრიდან, მათი მისამართით დასმულ შეკითხვებზე (იხ. ინტერვიუები);

3.2.9. ა(აიპ) "მწვანე ალტერნატივა" წარმოადგენს "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო პირს. იგი დაარსების დღიდან (2000 წლიდან) აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელების მონიტორინგში, მათ შესახებ მსჯელობებში. მოსარჩელე ასოციაციის საქმიანობა მოიცავს უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომელთა მიმართაც საზოგადოება გამოხატავს ცხოველ ინტერესს. ასოციაციის შეფასებები, დასკვნები, შენიშვნები გავლენას ახდენს კონკრეტულ პირთა მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. აქედან გამომდინარე, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა" საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობის მიმართაც, საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.

3.2.10. მოპასუხეების მხრიდან, ინტერვიუს მიცემისას, მოხდა მოსარჩელე ასოციაციის საქმიანობის მიმართ შეფასებითი მსჯელობის (აზრის) გამოხატვა;

3.2.11. მოპასუხეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია [illegible] პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი, ცილისმწამებლური ფაქტების შემცველი ინფორმაციის (ცნობების) გავრცელებას;

3.2.12. საქმეში არსებული მტკიცებულებები [illegible] ადასტურებენ ინტერვიუებში, მოპასუხეების მიერ სადავო გამონათქვამების (წინადადებების) გამოყენებით მოსარჩელე ა(აიპ) "მწვანე ალტერნატივასათვის" რაიმე სახის ზიანის მიყენების ფაქტს (იხ. საქმის მასალები).

სამოტივაციო ნაწილი:

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

ვინაიდან მოპასუხეებს _ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელიავილს და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს სადავო ინტერვიუებით არ გაუვრცელებიათ მოსარჩელე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივის" მიმართ, ანსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და მისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, თითოეული მათგანის მიმართ სარჩელი, როგორც უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი; მე-19 და 24-ე მუხლები;
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი;
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი;
„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი, მე-3, მე-6, მე-7, მე-9, მე-14, მე-15 მუხლები.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მიხედვით, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18.2. მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი და ღირსება შელახვისაგან.

ამავე კოდექსის 27.5. მუხლის ნაწილის თანახმად, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში, გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები.

იმისათვის, რომ სასამართლოს გზით განხორციელდეს პირის პატივისა და ღირსების შესაბამისი დაცვა, უნდა არსებობდეს შემდეგი კრიტერიუმები: 1. პირის პატივისა და ღირსების შელახვა; 2. პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელება; 3. გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობა.

მნიშვნელოვანია, რომ "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონმა მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელე მხარეს დააკისრა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მე-19 მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს აზრისა და მისი თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით, მიუხედავად საზღვრებისა". ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. მნიშვნელოვანია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი, რომლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თითოეულ ადამიანს აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, მიუხედავად საზღვრებისა, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყველა სახის ინფორმაცია და მოსაზრებები ზეპირად, წერილობით ან პრესის მეშვეობით, ხელოვნების სახით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანისამებრ.

საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ ვალდებულებებსა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. შესაბამისად, იგი შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია: ა. სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის...". აღნიშნული პუნქტი მიუთითებს „სხვათა რეპუტაციაზე", რასაც ამკარად იცავს პაქტის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნული ვითარება წარმოშობს კლასიკურ კონფლიქტს ადამიანის უფლებების (გამოხატვის თავისუფლებას) და პიროვნების დაცვას შორის. მითითებულ ნორმათა შედარებიდან იკვეთება საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, უზრუნველყონ საკანონმდებლო დაცვა არასწორი მტკიცებებით პატივისა და რეპუტაციის ხელყოფის წინააღმდეგ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი უზრუნველყოფს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას ყოველი ადამიანისათვის. ამავე ნორმატიული აქტის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა სახის სამუშაოებით, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის პირველ პუნქტში „ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია შეიზღუდოს ... პირობებით, რომლებიც აუცილებელია ... სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად...".

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით, შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ის ეხება ცილისწამებას („ა" ქვეპუნქტი), პირისპირ შეურაცხყოფას („გ" ქვეპუნქტი) და სხვ.

ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

მოხმობილი კანონის პირველი მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს; ხოლო ამავე მუხლის „ფ" ქვეპუნქტის თანახმად, აბსოლუტური პრივილეგია ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას:

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ საქმეზე (Lingens v. Austria, 1986) განაცხადა: „შეფასების მტკიცება შეუძლებელია, ფაქტები მტკიცებადია".

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების (თავისუფლებების) შეზღუდვის საწინააღმდეგოდ (მე-2 პუნქტი). აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას, ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ (მე-5 პუნქტი).

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების" შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო პირია ის პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად [illegible] საკითხებთან დაკავშირებით, მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება და სხვ. საჯარო პირია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან პრობლემებში აქტიურად მონაწილე ასოციაცია, რომელიც ამ საკითხების თაობაზე საჯარო დისკუსიას გამოიწვევს (Krone Verlag GMBH&CoKG v.Austrua).

ამავე ნორმატიული აქტის მე-14 მუხლის თანახმად, საჯარო პირის მიმართ "დასაშვები კრიტიკის" ფარგლები მეტად ფართოა.

"სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება არის – ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო; ის განცხადება, რომელიც არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, მოხმობილი მუხლის "ე" ქვეპუნქტის მიხედვით, არის ცილისწამება.

თუ მივიჩნევდით, რომ მოსარჩელე არის კერძო პირი, ამ შემთხვევაშიც, სახეზე არ იქნებოდა მოხმობილი კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, პირს ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

ვინაიდან, მოპასუხეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებას, უსაფუძვლოა მეორე სასარჩელო მოთხოვნაც მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. აქვე სასამართლო მიუთითებს, რომ მორალური ზიანი შეიძლება მიადგეს მხოლოდ სულიერ არსებას _ ადამიანს (და არა _ იურიდიულ პირს და სხვ.), რადგანაც მხოლოდ მას აქვს უნარი განიცადოს სულიერი ტანჯვა მისი რეპუტაციის, პატივის და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ა(ა)იპ "ეროვნული ალტერნატივამ" ვერ დაამტკიცა მოპასუხეების მიმართ თავისი სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობა, რამაც განაპირობა მისთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7. საპროცესო ხარჯები

მოსარჩელე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" სარჩელი არ დაკმაყოფილდეს .

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

3. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე ასმათ კოხრეიძე